

1992.

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთში მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მკვეთრად გაუარესდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ძალაუფლების ახალი სტრუქტურები-სადმი დაუმორჩილებლობის აქციების ჩატარების შედეგად.

... ამ აქციებმა მიიღეს კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ეწყობა არასანქციონირებული მიტინგები, მსვლელობები და გაფიცვები, თვითნებურად ეწყობა პიკეტები, ბლოკირება უკეთდება რკინიგზას. მათი ორგანიზატორები, სიტყვით მოუწოდებენ რა კონსტიტუციისა და კანონების დაცვისაკენ, თვითონ უწყობენ ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს.

(...)

შეიარაღებული კონფრონტაციის ფონზე, რასაც თბილისში ჰქონდა ადგილი და რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და აფხაზეთის სახალხო მეურნეობის ობიექტების მუშაობის დესტაბილიზაცია, კიდევ უფრო ართულებენ შექმნილ შფოთიან ვითარებას და შეიძლება ადამიანთა დიდი ჯგუფების შეტაკებანი გამოიწვიონ.

(...)

... ხელმძღვანელობს რა კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშაონ და მიიღონ გადაუდებელი ზომები აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისადმი.

2. აფხაზეთის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებმა აქტიური ზეგავლენა მოახდინონ და კანონით დადგენილ პასუხისმგებლობაში გადასცენ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, მათ შორის არაკანონიერი გაფიცვების, მიტინგების ორგანიზატორებიც.

(...)

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. არძინა.

1992 წლის 13 იანვარი.

(გაზეთი "აფხაზეთის ხმა", # 11, 1992 წლის 17 იანვარი)